ლევან ჭოლაძე დაიბადა ქ. თბილისში 1978 წლის 9 აპრილს.

2000 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2002 წელს გაიარა ნიდერლანდების სამეფო აკადემიის საერთაშორისო უსაფრთხოების კურსი.

2003 წლის ზაფხულში სწავლობდა ლიდსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის ქ. იორკის წმ. ჯონის სახელობის კოლეჯში.

2003 წელს სწავლობდა ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (ქ. რომი).

1996-1998 წლებში მუშაობდა საქართველოს პროკურატურის სისტემაში.

1998 წლიდან მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე. 2004 წლის თებერვლიდან ეკავა საქართველოს თავდაცვის მინისტრის აპარატის უფროსის თანამდებობა.

2004 წლის ივნისში დაინიშნა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორად. 2004 წლის ოქტომბერიდან მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ, ხოლო შემდგომ ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის პირველ მოადგილედ.

2005 წლის 18 ნოემბერიდან 2005 წლის 23 დეკემბრამდე ეკავა საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწის ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობა.

2005 წლის 29 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

2004 წლიდან ხელმძღვანელობდა "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა" და "საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის" შემმუშავებელ სამუშაო ჯგუფებს.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი და პირველი კლასის სახელმწიფო მრჩევლის საკლასო ჩინი.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი ვაჟი.